



მოსკოვის საპატრიარქოს სასულიერო პირმა მონაწილეობა მიიღო გამოფენის გახსნაში – „რუსეთის მონაწილეობა ბულგარეთის მართლმადიდებლური ტაძრების მოხატვაში“



2021 წლის 30 ნოემბერს სოფიაში რუსეთის საინფორმაციო-კულტურული ცენტრის ფოიეში შედგა გამოფენის გახსნა „ლუკა დელიისკის ფრესკების რესტავრაცია. რუსეთის მონაწილეობა ბულგარეთის მართლმადიდებლური ტაძრების მოხატვაში“.

ექსპოზიციის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს: ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ პლამენ სლავოვმა, რუსეთის ფედერაციის საელჩოს მრჩეველ-დესპანმა ფილიპე ვოსკრესენსკიმ, საელჩოს უფროსმა მრჩეველმა ალექსი ნოვოსელოვმა, სოფიაში რუსული სახლის უფროსმა ოლგა შიროკოვამ, სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის მდივანმა დეკანოზმა ევგენი პაველჩუკმა, ეროვნული მოძრაობის „რუსოფილების“ პაზარჯიკის განყოფილების

ხელმძღვანელმა ნინა დიმოვამ, ხელოვნებათმცოდნემ მარგარიტა ივანოვამ.

გამოფენა ბულგარეთში მთელი რიგი საკათედრო ტაძრების რესტავრაციის პროცესის გაცნობის საშუალებას იძლევა, ესენია – ქალაქ რუსეში ყოვლადწმიდა სამების, სოფიაში კრასნაია პოლიანას კვარტალში აღდგომის, ქალაქ სლივენში წმინდა დიმიტრის და ქალაქ სტარა-ზაგორაში წმინდა ნიკოლოზის ტაძრები.

ამ ტაძრებში აღდგენილ იქნა რუსი მხატვარ-ხატმწერების ფრესკები: ნიკოლოზ შელესოვის, რომელიც სოფიაში ალექსანდრე ნეველის საპატრიარქო ტაძრის მოხატულობის ერთ-ერთი შემოქმედია და ნიკოლოზ როსტოვცევის, რომელმაც ბულგარეთში 26 ტაძარი მოხატა, მათ შორის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი ვარნაში, ქრისტესშობის ტაძარი სოფელ შიფკაში, წმინდა ნედელისას ტაძარი სოფიაში, ასევე რილის, ტროიანის, ზემენის, ბაჩკოვისა და ბულგარეთის სხვა მრავალი მონასტერი.

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური

სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის საიტის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88563/>